

სასერტიფიკატო კურსი

კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი

სასერტიფიკატო კურსის მოცულობა: 30 საათი

სასერტიფიკატო კურსში ჩართვის წინაპირობა:

სასერტიფიკატო კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა SPSS-ში მუშაობის ძირითადი უნარ ჩვევები. კურსის მსმენელებს უნდა გააჩნდეთ აღწერილი სტატისტიკის საბაზისო ცოდნა.

სასერტიფიკატო კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა:

სასერტიფიკატო კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც ინტენსიურად უხდება მუშაობა რაოდენობრივ მონაცემებთან, უხდებათ შედარებით დიდ და რთულ ბაზებთან მუშაობა და მათზე სიღრმისეული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

სასერტიფიკატო კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ შედარებით რთული და დიდი მოცულობის ბაზების დამოუკიდებლად დამუშავება. სხვადასხვა ტიპის აღწერილი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

მსმენელთა შეფასების სისტემა:

მსმენელთა შეფასება მოხდება კურსის დამთავრების შემდეგ ჩატარებული გამოცდის მიხედვით. გამოცდის მიზანი იქნება შეამოწმოს რამდენად შეუძლიათ პროგრამაში მონაწილეებს SPSS-ის გამოყენებით შეასრულონ პრაქტიკული დავალებები.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

კურსის სტრუქტურიდან გამომდინარე სავალდებულოა მონაწილეთა აქტიური დასწრება. გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის მონაწილეები, რომლებიც დაესწრნენ ლექციების მინიმუმ 75%-ს (11 ლექცია).

კურსის სტრუქტურა ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: მონაცემთა ბაზების ფორმირება/დამუშავება და აღწერილობითი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზი. გამოცდის დროს მოხდება ამ ორი მიმართულების დამოუკიდებლად შემოწმება 10 ბალიანი სისტემით. სერთიფიკატის მინიჭება მოხდება იმ შემთხვევაში თუ მონაწილე გამოცდის თითოეულ ნაწილში მიიღებს მინიმუმ 6 ქულას.

№	საკითხები	საათების რაოდენობა
1	SPSS-ის სინტაქსური ბრძანებების ფანჯრის განხილვა. მარტივი სინტაქსური ბრძანების სტრუქტურის განხილვა. კორექტული სინტაქსური ბრძანების მიღების ხერხები.	2
2	სინტაქსური ბრძანებების გამოყენებით მონაცემების სიხშირული და კროსტაბულაციური ანალიზი. მრავალ პასუხიანი კითხვების ანალიზი.	2
3	მონაცემების დაყოფა. დაყოფილი მონაცემების ანალიზი.	2
4	მონაცემთა შეწონვა.	2
5	მონაცემთა ფილტრაცია სინტაქსური ბრძანებების გამოყენებით.	2
6	ფუნქციების range, any sysmis გამოყენება	2
7	მონაცემების რესტრუქტურისა სინტაქსური ბრძანებების გამოყენებით – რეკოდირება, ახალი ცვლადების გამოთვლა recode, compute, count).	2
8	მოქმედებების შესრულება სხვადასხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (პირობითი ოპერატორები if, do if).	2
9	მოქმედებების გამეორება ბევრი ცვლადისთვის - ოპერატორი do repeat.	2
10	ვექტორები სინტაქსურ ბრძანებებში და მათი გამოყენება მონაცემთა დამუშავებისას.	2
11	პარამეტრის ნდობის ინტერვალის შედგენა (ცდომილებები).	2

12	ჰიპოთეზების შემოწმება: ხი-კვადრატ ტესტი.	2
13	ჰიპოთეზების შემოწმება: T და ANOVA ტესტები.	2
14	კორელაცია, წრფივი რეგრესია.	2
15	დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზში.	2